ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1696 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 13 იანვარი № 1696

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადება მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели" „Моамбе" ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერლებს ურიგდებათ სურათებიანი დამატების მე-23 №-რი.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

პატივი გვაქვს ვაცნობოთ ქუთაისის გუბერნიის ვაჭრებს,

თანახმად მმართველობის განკარგულებისა, ტფილისში ჩამოსვლა და ღამის გათევა ქარვასლაში უპასპორტოთ

სასტიკად აღკრძალულია,

15-ამა იანვრიდან უპასპორტოთ ქარვასლაში მომსვლელის მიღება არ შეიძლება.

(5—1) გარს. რატიანი, ი. მაისურაძე.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით დაშაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებსა 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქართული თეატრი

კვირას, 13 იანვარს, 1902 წელს.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

მ. მ. საფაროვი-აბაშიძის მონაწილეობით

I

ალღუმი

კომედია 4 მოქმედ.

II

პირველად ახალი პიესა

სირცხვილია

კომედ. ხუმრ. 1 მოქ.

მონაწილეობენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე. დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება მ. საფაროვის საბენეფისოდ: „თამარ ცბიერი", „ტყვე". „დასჯილი"

რეჟისორი **ვ. გუნია**

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. 1889 წ. 17 ივლისს გამოცემული კანონის ძალით აღკრძალულია, რომ ერთი და იგივე კაცი დეპუტატთა არჩევნის დროს რამდენსამე ოლქში გამოვიდეს კანდიდატად და კენჭი იყაროს; ყოველმა კაცმა მარტო ერთ ადგილას უნდა იყაროს კენჭი. პალატამ მიანდო ერთ კომისიას, რომ ეს კანონი განეხილა. კომისიის წევრს კლოტცს მოუხსენებია კომისიისთვის, თუ რა ნაირად უნდა შეიცვალოს ეს კანონი და კომისიასაც მიუღია მისი აზრი. კლოტცის აზრით, ხსენებული კანონი ამნაირად უნდა შეიცვალოს. ამას იქით ყოველ კაცს ორი კანდიდატურის უფლება უნდა მიეცეს. ამას გარდა, არჩეულ დეპუტატს, სანამ თავის თანამდებობიდან არ გადადგება, ნება არ ექნება კანდიდატად გამოვიდეს და კენჭი იყაროს. თავის აზრს კლოტცი ამნაირად ასაბუთებს: ამ კანონის გამოცემით კანონ-მდებლებს მარტო პლებისციტალური არჩევნის აღკრძალვა ეწადათ. ორნაირი კანდიდატურის აღკრძალვას სულაც არა ჰფიქრობდნენ. ამ კანონის მოთავეებმა 1889 წელს პირველში ნება მისცეს ყველას, რომ ორგან გამოსულიყო კანდიდატად. ეხლანდელი კონსტიტუციის ავტორი ვალონი თვით სენატშიაც კი იმ აზრისა იყო, რომ ყოველ კაცს სამი კანდიდატურის ნება ჰქონოდა. ვალონი მარტო მრავალი კანდიდატურის წინააღმდეგი იყო, რადგანაც მრავალი კანდიდატურის უფლება კონსტიტუციას დაამხობსო. მაგრამ ვალონმა ერთ კანდიდატურასაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია: ესეც პარლამენტის ინტერესებს ავნებსო. მრავალი კანდიდატურის აღკრძალვა ყველაზე ძლიერ დასის მეთაურებს და გამოჩენილ მოღვაწეებს შეუშლის ხელსაო. განსაკუთრებულ გარემოების ზედ-მოქმედებით მაშინ პარლამენტმა მაინც აღკრძალა მრავალი კანდიდატურა და ყოველ კაცს მარტო ერთი კანდიდატურის უფლება მისცა. დასასრულ კლოტცი ამბობს: „მართალია, ჩვენ ეხლა მეტ უფლებას ვაძლევთ ამომრჩეველსა და ასარჩევ ხალხს, მაგრამ ამავე დროს არც თუ დიქტატორთა წადილი დავივიწყეთ და ღონე ვიღონეთ, რომ ამნაირ ხალხს აღარ შეეძლოს თავიანთ სურვილის ასრულება".

კომისიის პროექტიც და 1889 წლის კანონიც მარტო დეპუტატთა პალატის წევრთა არჩევანს შეეხება. სხვა არჩევნებზე ამ კანონში ხმაც არაა ამოღებული. კომისიის პროექტს პალატა, ალბად, დაამტკიცებს.

✡ გაზეთ „ტან"-ში ოფიციალური შენიშვნაა დაბეჭდილი. ამ შენიშვნაში ახსნილია, თუ რა საბუთით მისცეს სამართალში იეზუიტები. შენიშვნაში ნათქვამია: „იეზუიტების კრებულის უმთავრესი ბინა საზღვარ-გარეთ იმყოფება. ამათი კრებული არ დახურულა, ისევ არსებობს. ამ კრებულის რამდენიმე წევრი საფრანგეთშიაც სცხოვრობს. თუმცა ერთად აღარა სცხოვრობენ, მაგრამ ისევ წინანდებურ საქმეებს მისდევენ. ეს საქმეები აღკრძალულია 1901 წლის 3 ივლისს გამოცემული კანონით და ამიტომ მთავრობამაც იეზუიტები სამართალში მისცა".

ინგლისი. დეპუტატთა პალატაში, 3 იანვარს, შეკრების უმალვე, ძველი ჩვეულებისამებრ, პალატის თავმჯდომარემ მოახსენა დეპუტატებს ყველა იმ არჩევანთა შესახებ, ზაფხულში რომ მოხდა. სხვათ შორის, მოახსენა ირლანდიაში, ჰალვეის ოლქში მომხდარ არჩევნების შესახებაც. ამ ოლქში, გეხსომებათ, ირლანდიელებმა რობერტ ლინჩი აირჩიეს. ეს ლინჩი სამხრეთ-აფრიკაში იყო და ბურების ჯარში იბრძოდა ინგლისელების წინააღმდეგ. კონსერვატორმა დეპუტატმა პერსიმ გამოაცხადა: პრინციპიალური საკითხი მინდა აღვძრა ამის თაობაზეო. ლინჩი ნამდვილი მოღალატეა და განა ამისთანა კაცის ამორჩევით პალატას ნამდვილი შეურაცხყოფა არ მიაყენესო (სამინისტროს მომხრე დეპუტატები იწონებენ ორატორის სიტყვებს). განა კომისია არ უნდა დავნიშნოთ, რომ ეს საქმე გამოიძიოს და პალატას ყველაფერი დაწვრილებით მოახსენოს. პალატის თავმჯდომარემ უპასუხა: პრინციპიალური საკითხის დაძვრა ამ საქმის თაობაზე არ შეიძლებაო. მაშინ მეორე კონსერვატორმა კორნერმა გამოაცხადა: რა-წამს ლინჩი პალატაში მოვა, მე მოვითხოვ, რომ ლინჩს ფიცის მიღების ნება არ მისცენო.

„ტაიმს"-ი სწერს: ხმა დადის, მთავრობამ ბევრი საბუთი შეჰკრიბა ლინჩის გასამტყუნებლად ა განკარგულება მოახდინა, რომ რა-წამს ლინჩი ინგლისში მოვა, მაშინვე დაატუსაღონ. ამიტომ

ფელეტონი

საკვირაო დღიური

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, რომ „კვალის" რედაქციაში საწინასწარმეტყველო განყოფილება დაარსდა. ეს განყოფილება ასეა მოწყობილი: ბურჟუაზიის, ფეოდალიზმის და დემოკრატიის მთების მწვერვალზე სამ-ფეხიანი ზედადგარი სდგას. ამ ზედადგარზე რიგით „კვალის" ერთ-ერთი თანამშრომელი ჯდება და იმის ქვეშ გაზეთის რედაქტორი დიალექტიურ განვითარების ცეცხლს აჩაღებს, რომელიც იმოდენად ჰბოლავს, რომ ზედადგარზე მჯდომს თავბრუ ესხმის. როდესაც ეს მხედარი ზედადგარისა, ე. ი. მორიგი წევრი რედაქციისა იმდენად შემქვარტლება და გაბრუვდება, რომ დიალექტიურ ცეცხლს ველარ გაუძლებს და გონება მიხდილი ზედადგრიდან დაბლა ჩამოვარდება, მაშინ რედაქტორი იმას საგანგებოდ დამზადებულს ევოლიუციონურს სიმჟავეს ასუნებინებს... ამის შემდეგ მორიგის წევრის წინაშე მომავალი პირბადეს იხდის, ყოველივეს, რაც მომავალში უნდა მოჰხდეს, ის იმდენად თვალ-ნათლივ და აშკარად ჰხედავს, როგორც ეხლა ჩვენ „კვალის" სტრიქონებს. რედაქტორი ეკითხება მორიგს წევრს იმ საგნის შესახებ, რომელიც საინტერესოდ მიაჩნია, და მორიგი წევრიც სრულის დაბეჯითებით შესაფერს პასუხებს იძლევა. ამას წინად ამ საგანგებო საშუალებით „კვალმა" იწინასწარმეტყველა, ქუთაისში განზრახულ გაზეთს „ხმას" ბურჟუაზიული მიმართულება ექმნებაო, რადგანაც ძლევა-მოსილს ქართულს ბურჟუაზიას მარტო „ცნობის ფურცელი" ვერ აკმაყოფილებსო. ვიცით რა, საიდან მიმდინარეობს ეს წინასწარმეტყველება და რა აქვს საფუძვლად გაზ. „ცნობის ფურცლის" ამ დახასიათებას, ჩვენ ერთს წუთასაც არა ვეჭვობთ წინასწარმეტყველობის სიმართლეზე და თამამად ველით ქუთაისის გაზეთს.

* * *

საუცხოვო დარი იდგა, მთელი ტფილისი გოლოვინის პროსპექტზე დასეირნობდა და მათ შორის თქვენი უმორჩილესი მონაც. ჩემს გვერდით დიალექტიურ განვითარების ნაბიჯით მოაზლაყუნებდა ერთი „კვალის" სოციოლოგი, რომელსაც თავისი ნაცნობი ილტაცებით რაღაცა ამბავს მოუთხრობდა. ამ მათის მუსაიფის გატაცებულმა კილომ უნებურად ჩემი გულის-ყური თავისკენ მიიქცია და აი რა გავიგონე:

—საკვირველსა ვარ მიცემული მაგ თქმულებით; ნუ თუ ეგ ზღაპარი ჩვენის ერის ფანტაზიის ნაყოფია?!—კითხულობდა სოციოლოგი.

—დიახ! სწორედ ასე, როგორც მოგახსენეთ. ეს ზღაპარი ახლად შეთხზული კი უნდა იყოს, რადგანაც მე ზღაპრები ძალიან მიყვარს, ხშირადაც ვაამბობიებ ხოლმე იმათ, მაგრამ ამისი მგზავსი კი ჯერ არსად არაფერი არა მსმენია. ყველაზე საყურადღებო ის არის აქ, რომ ცოლიანებს ბედმა უმტყუნა და უცოლოებმა კი თავისი გაიტანეს და ღირსეულად დაამთავრეს საქმე.

—მე მგონია, რომ ეგ გარემოება ზღაპარში შემთხვევით მომენტად არ უნდა ჩაითვალოს, სთქვა სოციოლოგმა დინჯად, როგორც შეეფერება თეორიების მცოდნე კაცს; მე ვფიქრობ, რომ ამ თქმულებით ჩვენი ერი შეეხო ეხლანდელ სოციალურ წყობილების ერთს ფრიად სუსტს მხარეს, სახელდობრ მონოგამიას ანუ თანამედროვე ოჯახს. ეხლანდელი ოჯახი კაპიტალისტურ წყობილების პირმშო შვილია; ოჯახის არსებობა ეგოიზმზე, შენ-ჩემობაზეა აშენებული... რაც მეტს უფიქრდები, მით უფრო მომწონს თქვენი ზღაპარი. მე აუცილებლად ვისარგებლებ შემთხვევით და მონოგამიის შესახებ ერთს ღრმა სოციოლო-ფილოსოფიურ წერილს დავწერ „კვალში", მით უმეტეს, რომ არც ევროპის, არც რუსეთის ლიტერატურაში არ მოიპოვება სრული და მომწიფებული სამეცნიერო გავლევა მაგ საგნისა.

—გარწმუნებთ, რომ სცდებით, ძალიან სცდებით! თქვენი შეხედულება—ყალბია, თქვენი ოპტიმიზმი—უნიადაგოა! თქვენ გგონიათ, მაგრამ გგონიათ კი არა, გწამთ, რომ მოდა მხოლოდ ტანისამოსისა არსებობს. ცხოვრებას უფრო თავისუფლად უნდა შეხედოთ და მალე დარწმუნდებით, რომ გაზეთის ფორმატი კი არა იმისი მიმართულებაც კი ყოველ უწინარეს მოდაზეა დამყარებული... ნუ გაიოცებთ,

ჰფიქრობენ, რომ ლინჩი ისევ პარიზში დარჩებაო.

✡ ფინანსთა მინისტრმა ჰიქს-ბიჩმა გამოაცხადა, ქვა-ნახშირზე ბაჟის მომატების პროექტი არ შემიდგენიაო.

✡ ლონდონის სიტის გამგეობამ გადასწყვიტა ჩემბერლენს ოქროს ყუთით ადრესი მიართვას და მადლობა გადაუხადოს იმ სარგებლობისათვის, რაც ამ მინისტრმა ინგლისს მოუტანა.

✡ ლორდ როზბერიმ ჩესტერფილდში გამოაცხადა, ლიბერალურმა დასმა ირლანდიელებთან ყოველი კავშირი უნდა გასწყვიტოს და ირლანდიის ჰომრულზედაც ხელი აიღოს. ამიტომ უკიდურესი რადიკალები და ირლანდიელები აპირებენ თურმე, როცა საპასუხო ადრესზე კამათი იქნება, ამ საქმეზედაც ლაპარაკი ჩამოაგდონ და გაიგონ, თუ როგორ უყურებენ ირლანდიის ჰომრულს ოპოზიციის მეთაურები.

ავსტრ-უნგრეთი. კერბერს სწადიან, რომ ჩეხები და გერმანელები როგორმე მოარიგოს. ამისთვის პირველი მინისტრი მალე გერმანელებსა და ჩეხებს სათათბიროდ მოიწვევს. ჩეხიის დედა-ქალაქ პრაგაში თურმე არა სწამთ, რომ ამ თათბირს რაიმე კარგი შედეგი მოჰყვეს. მცოდნე კაცები იმ აზრისანი არიან, რომ ეს თათბირი ცარიელი მოლაპარაკებით გათავდებაო. ორივე ეროვნების წარმომადგენლები შეიყრებიან, თავ-თავიანთ აზრებს იტყვიან, მაგრამ შეთანხმებით კი ვერ შეთანხმდებიან. ამ შეთანხმებას ის გარემოება აბრკოლებს, რომ არც ჩეხებს და არც გერმანელებს რისამე დათმობა არა სწადიანთ.

ესპანია. „ჰავასის სააგენტოს“ სწერენ ბარცელონიდან, რომ იქ ხელ-მეორედ აღელდა ხალხიო. რევოლვერებითა და ჯოხებით შეიარაღებული ხალხი ფაბრიკებს დაეცა და მაშინები დაამსხვრია. ქალაქის დარაჯებმა თოფები ესროლეს ხალხსა. მადნის მუშებიც ძლიერა ჰღელავენ.

„ტან“-ს სწერენ მადრიდიდან: ესპანიის პარლამენტს ახალ კანონ-პროექტს წარუდგენენ განსახილველადაო. ამბობენ, ამ კანონ-პროექტით მუშების გაფიცვები იქნება აღკრძალულიო. ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ბარცელონაში მუშები ისევ ისე ჰღელავენო.

ბარცელონიდან იწერებიან, მეტალურგიულ ქარხნების პატრონებმა სენატორებს, დეპუტატებს და მთავრობას თხოვნით მიჰმართესო. ქარხნის პატრონები სწერენ: ეს უკანასკნელად ურიგდებით მუშებსაო. მუშაობა ეხლავე უნდა დაიწყოსო, მუშებმა დღეში 10 საათი უნდა იმუშავონო. მუშების ყველა სამართლიან საჩივარს მოვისმენთო, მაგრამ თუ მუშები არ დამშვიდდნენ და ძალ-მომრეობაზე ხელი არ აიღეს, ქარხნებს დავკეტავთ, ესპანიიდან სულაც წავალთ და ქარხნებს საზღვარ გარედ გავხსნითო.

სამხრეთ-აფრიკა. ინგლ. გაზ. „უესტ-მინსტერ გაზეთ“-ში ერთი ინგლისელი ჯარის-კაცის წერილია დაბეჭდილი. ავტორს ლორდ-მეტუენის რაზმში უმსახურნია. ჯარის-კაცი ამ ნაირ ამბებს იწერება:

„პირველ თვეს ჩვენ მეტად ცოტა შეტაკება მოგვივიდა ბურებთან, რადგანაც მეტუენი ერთ ძლიერ მდიდარ ნაყოფიერ ოლქს იკლებდა და აოხრებდა. რაც კი წინ ფერმა გვხვდებოდა, სულ მთლად საძირკვლიანად ვანგრევდით. ყველა ნათესობას ვაოხრებდით, საქონელს ვიჭერდით, ხეხილს ვჭრიდით და როცა ყველაფერს ავიკლებდით, ფერმას ცეცხლს ვუკიდებდით. როცა ფერმას უახლოვდებოდით, ბურები მაშინვე სტოვებდნენ ფერმას და ახლო-მახლო გორებზე მიდიოდნენ. რამწამს იმათკენ წავიდოდით, მაშინვე თოფს გვესროდნენ და მარჯვედაც გვესროდნენ. იქნება თქვენ ესეთი ქცევა უღირსობად ჩასთვალოთ, მაგრამ ჩვენ ლორდ კიტჩენერის ბრძანებას ვასრულებდით. ამბობენ, თუ ესე არ მოვიქცეთ, ომი თავის დღეში არ გათავდებაო. ორ დღეში ხუთი ფერმა დავწვით. მერე რა ფერმა! ხილი დამწიფებული იყო იმ დროს და რისაც შეჭმა შეიძლებოდა,—ჯარის-კაცებმა ყველაფერი შეჭამეს. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ მარტო აპელსინებს, ლიმონებს, ატამსა, გარგარსა, ათასნაირ ფრინველსა და სხვა გემრიელ სანოვაგეს ვჭამდით“.

დასასრულ ავტორი ამბობს: თუმცა ესეთ გემრიელ სადილებს ვჭამდით, მაინც ფერმების დანგრევა გულს გვიწუხებდაო. ეს საქმე სწორედ საზიზღარ საქმედ მიმაჩნიაო.

ეს წერილი წარსულ 25 ნოემბერსაა დაწერილი ქალ. კლერკსდორფში (სამხრეთ-აფრიკაში). „უესტ-მინსტერ გაზეთ“-ი შენიშნავს: უნდა იცოდეთ, რომ სამხედრო მინისტრი ბროდრიკი სწორედ იმ დროს ირწმუნებოდა, ჩვენი ჯარი ბურების ფერმებს აღარ ანგრევსო.

გერმანია. საძაგლად იქცევა ინგლისის მთავრობა სამხრეთ-აფრიკაში, მაგრამ არც თუ სხვა სახელმწიფოები მოიქცევოდნენ ინგლისის მთავრობასა და ჯარზე ლმობიერად. პირიქით, უფრო უღირსადა და გულ-ქვადაც მოიქცეოდნენ. თუმცა სხვაგნეური შოვინისტები ძლიერა ჰგმობენ ინგლისის მთავრობისა და ჯარის ქცევას, მაგრამ თითონ ყველგან მეტ ბოროტებასაც სჩადიოდნენ. ამაზე ადრე ხომ ჩემბერლენმა სიტყვა წარმოსთქვა ედინბურგში და ყველა სახელმწიფოებს თავ-თავიანთი ცოდვა გაახსენა. ეს ძლიერ იწყინეს გერმანელმა შოვინისტებმა და დიდი ალიაქოთიც ასტეხეს: როგორ გაჰბედა ჩემბერლენმა და ჩვენი ჩინებული კაცთ-მოყვარე ჯარი ცუდად მოიხსენიაო. ამას წინად გერმანიის რეიხსტაგშიაც ჩამოვარდა ამაზე ლაპარაკი და იმპერიის კანცლერმა გრაფმა ბიულოვმაც ილაპარაკა ამ საქმეზე და ჩემბერლენის პასუხი გასცა. ინგლისელი შოვინისტებიც არ დაუყვარდნენ გერმანელებს და ისეთი ღრიალი მორთეს, რომ გრაფ ბიულოვს თითქმის ბოდიში მოახდევინეს იმავე რეიხსტაგში. შოვინისტები მარტო სხვისა ცოდვას ჰხედვენ, თავიანთსას კი ვერა. თავიანთ ქვეყანას, თავიანთ მთავრობას, თუ ჯარს ყველაფერში ამართლებენ და სხვისას კი ყველაფერში ამტყუნებენ. ამათი ლაპარაკი ძალაუნებურად ქართულ ანდაზას გაგონებთ: „ჩვენი წველა (მაწონი) ტალივითა, მეზობლისა წყალივითაო“.

ერთი სიტყვით, შოვინისტებს სულ სხვა ქვეყნების კიცხვაში ამოსდით სული. სამაგიეროდ ჩვენი დროის დემოკრატია სულ სხვა ნაირად უყურებს საქმეს. თავიანთივე მთავრობა და ჯარი ჩაიდენს რაიმე ბოროტებას, თუ სხვისა, დემოკრატია ერთნაირად ჰგმობს ამ ბოროტებას. ჩემბერლენის სიტყვის თაობაზე გერმანელი სოციალ-დემოკრატების მეთაურს ავგუსტ ბებელსაც ულაპარაკნია და ყველაფერში გაუმტყუნებია გერმანელი შოვინისტები. ამ საინტერესო სიტყვას შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

ახალი ამბავი

✦ დღეს, ნაძალადევსა და ჩუღურეთში უნდა გაიხსნილიყო უფასო **საკვირაო სკოლები**, მაგრამ სხვა დროსთვის გადაიდო.

✦ დღეს, 13 იანვარს, დილის 11 საათზედ, რამდენიმე საქმის განსახილველად დანიშნული ატფილისის **დურგალთა ამხანაგობის** „შრომის“ წევრთა კრება. ამხანაგობას მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის კასაში ჰქონია ფულად 39 მან. 34 კაპ., სამეურნეო ბანკში 15 მან., მაღაზიაში დამზადებული საქონელი 1248 მან. 25 კაპეიკისა, იარაღები 567 მანეთის, მასალა 341 მან. მართებსთ ამხანაგობისა სხვა-და-სხვა პირებს 347 მან. 85 კაპ., დაუბრუნებელი ხარჯი და სხვანი, სულ—2892 მან. 4 კაპ. წლის განმავლობაში ამხანაგობას წმინდა მოგება ჰქონია 407 მან. 77 კაპ.

✦ ტფილისის გუბერნატორს წარედგინა 7 იანვარს მომხდარ არჩევნების შედეგი. ამოირჩიეს მოქალაქეთა მოურავი და სხვა მოხელენი. ამასთან ერთად გუბერნიის სამმართველოში შეიტანეს რამდენიმე **საჩივარი**, რომ არჩევანები სწორე, კანონიერი არ იყოო. სხვათა შორის, საბუთად მოჰყავთ, რომ არჩევნების წინად დეპუტატები არ დაიფიცესო.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ სახელმწიფო საბჭომ ნება დართო—ფოთის საქალაქო სასწავლებელთან არსებული სახელოსნო კლასი სახელოსნო სკოლად იქმნას გადაკეთებული ამ წლის 1-ლ ივლისიდან.

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით ექიმები ბ. ბ. ჩიგიანი და ტურიაშვილი **დაინიშნენ** პირველი—ანაგის (სიღნაღის მაზრაში) ქსენონის მმართველად, ხოლო მეორე—მაჩხანისა. როგორც ფიცით, ამ ქსენონებს გლეხკაცობა ინახავს თავის ხარჯით.

✦ გუბერნიის ექიმის თანაშემწე ბ. მაჭავარიანი კახეთში წავიდა სოფლის საექიმო თავშესაფრების დასათვალიერებლად.

✦ გუშინწინ, 11 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიისა და ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსი, რომელზედაც უნდა განეხილათ მიმდინარე წლის **ქალაქის სამკურნალოების** შესანახი ხარჯთაღრიცხვა და სხვა საგნები. კარგა ხნის კამათის შემდეგ სხდომამ დაამტკიცა ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოს შესანახი ხარჯთაღრიცხვა, მხოლოდ გამგეობისაგან ნავარაუდევი 26029 მან. შემცირებულ იქმნა 24827 მანეთამდე. სხდომამ შესცვალა აგრეთვე ამავე სამკურნალოს სათადარიგო ხარჯთაღრიცხვით გადადებული 2427 მან. და გარდ-სწყვიტა ამ მიზნისათვის გადაიდვას მხოლოდ 1000 მან. როგორც მკითხველებმა იციან, ახლა ხან ქალაქის გამგეობამ დაამთავრა ქალაქის გადამდებ სენით ორის სამკურნალოს სადგომის შენება; ამ შენობათა მოსაწყობად ერთ ჟამიერ ქალაქის გამგეობა ითხოვდა 6053 მან., ხოლო შეერთებულმა სხდომამ საჭიროდ დაინახა ამ ხარჯის მომატება 5000 მანეთამდე. სხდომაზე, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის სამკურნალოში უფასოდ არ მიიღონ ხოლმე არა გადამდებ სენით შეპყრობილნი. კარგა ხნის კამათის შემდეგ სხდომამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა დაწესებულ იქმნეს საზოგადო საწოლ სამკურნალოში გარდასახადი თითოეულს ავადმყოფზე თვეში 10 მან. ამ გარდაწყვეტილებას წინაალმდეგი გაუხდა საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ა. ს. ბაზოვი.

✦ შეერთებულმა კრებამ განიხილა გადამდებ სენით **ავადმყოფების** ბარაკების საქმე. ბარაკები სულ ექვსი უნდა იყოს:: ოთხი აწ არსებული და ორიც უნდა გაიხსნას. ამ ბარაკებისთვის საჭიროა აუცილებლად სამი ექიმი-ორდინატორი, რომელთაც უნდა დაენიშნოთ ჯამაგირები თითქოს 1,000 მან. წელიწადში. ერთს ამ ექიმთაგანს დაევალება ბარაკების გამგებლობა, რისთვისაც იმის ჯამაგირს დაემატება 500 მან. წელიწადში. ამასთანავე საჭიროა ხუთი ფერშალი, რომელთაგანაც ერთს დაევალება ბარაკების ზედამხედველობა. უკეთუ გადამდები სენი გაძლიერდა, მაშინ მოსამსახურეთა შტატიც უნდა გაძლიერდეს:: ამისთვის გადადებულია 1,000 მან. ორი ახალი ბარაკის მოსაწყობად გადადებულია 5,000 მან.

✦ ხუთშაბათს, 17 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ეჩმიაძინის მაზრის მეოთხე ნაწილის **ბოქაულად ნამყოფის** ნიკოლოოზ ვაშაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდება.

✦ სამშაბათს, 15 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე განჯის მაზრის მეოთხე ნაწილის ბოქაულის **თანაშემწედ ნამყოფის** თავ. დავით ანდრონიკაშვილისა, რომელსაც ბრალდება სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

✦ მიმდინარე წლის 1-ლ თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწედ ნამყოფის ესპერ კოკეშკინისას, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდება.

✦ ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** სამზრუნველო კომიტეტმა ამ დღეებში მიწადმოქმედების დეპარტამენტს წარუდგინა დასამტკიცებლად საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიის დადგენილება, რომლითაც წასულ 1901 წლის ოქტომბრიდან აღნიშნულ სკოლაში საზოგადო საგნების მასწავლებლად მოწვეულ იქმნა სიმონ შიხიანცი.

✦ ტფილისის საექიმო გამგეობაში შუამდგომლობა აღძრა მეჯვრისხევის გლეხთა საზოგადოებამ, რომ სოფ. მეჯვრისხევში გაიხსნას **საავადმყოფო თავშესაფარი** (ქსენონი), რომლის მოწყობას და შენახვას კისრულობს გლეხთა საზოგადოება.

✦ ალექსანდროპოლიდან იტყობინებიან, რომ 11 იანვარს, ნაშუადღევის სამ საათზე, საქონლის მატარებელს № 138 **ცეცხლი გაუჩნდა** 203 ვერსზედ. ცეცხლი წაეკიდა ბზეს,

---

გთხოვთ დამასრულებინოთ სიტყვა და მაშინ იქნება ჩემზე მეტად თქვენ ირწმუნოთ ჩემი შეხედულება. როგორ გგონიათ, რომელ წერილშია გამოხატული „ივერიის“ მიმართულება? ბ. კალამის უკანასკნელ წერილში, ურბნელის ფელეტონებში, კ. თუმანიშვილის საპროგრამო წერილებში, დამოუკიდებელის ზნეობრივს ქადაგებაში, თუ ხელ-მოუწერელს მეთაურებში? როგორა ჰფიქრობთ, როგორ ჰგონია „ივერიას“, თავად-აზნაურობას უნდა ვემსახუროთ, დემოკრატიას, ეროვნულ მთლიანობას, პროგრესიულს ელფერს, ორგანიულს განვითარებას, თუ რას? თქვენი არ ვიცი და მე კი ისე ვფიქრობ, რომ აქ მოდამ დაძლია ყველა სხვა მოსაზრებას და დღეს ბ. კალმის წერილში გამოთქმული ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფება უნჩაითვალოს ივერიის მიმართულებად. ხომ ჰხედავთ, რომ ფეოდალიზმის მოყვარულმა „ივერიამ“ მოდის წინაშე მუხლი მოიდრიკა? არც ეხლა მერწმუნებით, რომ მიმართულებას მოდა იძლევა?...

— ძალიან სცდებით, ბ-ნო მგზავრო! გამაცრუა ჩემმა მოსაუბრემ. აქ მოდა არაფერ შუაშია. „ივერიას“ ჰსურს ყველას გული მოიგოს და ამიტომ ის დემოკრატიც არის, ფეოდალიც, ორგანისტიც, მორალისტიც, და თუ გნებავთ კლერიკალიც. ხელმოუწერელ მეთაურების შინაარსით „ივერია“ პროგრესიულ მოძღვრების მიმდევარია, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, „ელფერისტი“ გახლავს და რაც შეეხება ხელმოწერილ წერილებს, იმათი შინაარსი რედაქციის აზრით ალბად პროგრესის სხვა-და-სხვა ჰანგები იქნება. ვინც რა უნდა სთქვას, და ამ საშუალებით კი გაზეთი ყველას გულს მოიგებს.

— უკულმა რომ დატრიალდეს ჩარხი და ყველას გული წაავოს...

— მაგისი კი რა მოგახსენოთ! ეგ გაზეთის გამომცემლის საქმეა.

—

გუშინ საღამოს ერთს ჩემს მეგობართან შევიარე, ცოტა რამ საქმე მქონდა და ნახვა მინდოდა, მაგრამ სახლში არ დამხვდა. მოსამსახურემ მითხრა, ნახევარ საათის შემდეგ მოვაო და ამიტომ უკან დაბრუნებას იქ მოცდა ვამჯობინე. შევედი კაბინეტში და მაგიდას მიუჯექი. ჩემი მეგობრის კაბინეთი საგანგებოდ იყო მოწყობილი, მდიდრულის მოწყობილობისა და მოსართავებისაგან თითქმის თვალები ამიჭრელდა. სწორედ გასაოცარია ამ კაცის საქმე, ვიფიქრე გუნებაში, გროში კაპეიკი არ მოეძებნება, რომ გაჭირვების დროს თვალზე მიიფაროს, და ასე მდიდრულად კი მოწყობილა მეთქი. ერთხანად ეჭვიც კი დამებადა, ვინ იცის, რა გზით შოულობს ამ მოსართავებს მეთქი. ფიქრში გართული ვიყავი და გაშტერებული ვუცქერდი იქაურობას. უეცრივ თვალი მოვკარ ქაღალდის ერთს ფურცელს, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა: „ჩემი ქონების სია“. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და იმის ჩათვალიერება დავიწყე. „მე მეკუთვნის—ეწერა სიაში, საწერის სტოლის ერთი მეთერთმეტედი, სკამების სამი-მეათედი, სავარძლების ორი-მეხუთმეტედი, ლამპის ერთი-მეხუთედი, პალტოს ერთი-მეშვიდედი, შალვრის მეოთხედი...“ სწორედ ამ დროს შემოაღო კარი ჩემმა მასპინძელმა და შემაწყვეტინა სიის კითხვა, რომელიც მეორე გვერდზე გადადიოდა. გაოცებული რომ დამინახა, მეგობარმა სიტყვა აღარ დამაცადა.

— გიკვირს განა! ცხოვრებას ნიჭი უნდა, ნიჭი! საქმე მაღალ ფარდების თეორიები კი არა, ცხოვრებაა. აბა ერთი რომელი თეორიით მოახერხებს ღარიბი კაცი ჩემსავით ლაზათიანად სახლის მოწყობას!

— მერე, შენ როგორ-ღა ახერხებ მეთქი! შევეკითხე.

— ისე რომ ნაწილ-ნაწილ ვცხოვრობ. როდესაც ვყიდულობ რამეს, ფულის მაგივრად პირობას ვაძლევ, სამის, ოთხის, ხუთის, ათის წლის განმავლობაში გადავიხდი მეთქი ვალს.

გამიკვირდა და დავეთანხმე რომ ნაწილ-ნაწილ ცხოვრებას მართლა ნიჭი უნდა და ძალიან მოქნილი ნიჭიც.

—

ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ნიჭიერს მგოსანს ვაჟა-ფშაველას განუზრახავს შეადგინოს ზნეობის წიგნი, რომელშიაც ჩართული იქნება სხვათა შორის წყალ-წყალა პუბლიცისტიკის რეცეპტი. ამ წიგნს დაერქმევა „ფიქრები“. ერთს ჯგუფს ახალგაზრდობისას პოეტთან დეპუტაცია გაუგზავნია, რომელმაც უნდა სთხოვოს, რომ პოეტმა ამ განზრახვას თავი დაანებოს და ისევ პოეზიას მოსჰკიდოს ხელი. რამდენადაც ვიცით, ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდათა თხოვნას არ შეიწყნარებს.

—

ეროვნული

რომელიც ახდილ ვაგონზე (პლატფორმა) იყო დადებული. ძლიერი ქარის გამო ცეცხლი მოეკიდა ორ სხვა ვაგონსაც, რომლებიც ამ ვაგონს ებნენ და რომლებიც ბზითვე იყვნენ დატვირთული. ბზე მთლად დაიწვა. ვაგონებს რაც კი ხის ნაწილები ჰქონდა, სულ გაირუჯა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არ არის გამორკვეული.

◆ თაუზიდან გვატყობინებენ, რომ 10 იანვარს სოფ. ქოროღლიში **შეუპყრიათ ცნობილი ყაჩაღი**, ციმბირიდან გამოქცეული ვალი. საქმე ასე ყოფილა: ვალი მისულა სოფელში და ერთი გლეხის სახლში ჩამომხდარა. ეს გაუგია ადგილობრივ ბოქაულს ალაშიევს, წამოუყვანია საერო დარაჯები და წამოსულა ამ სოფელში. შემორტყმიან იმ სახლს, სადაც ვალი გამაგრებულა. ბოქაულს უბრძანებია, დაგვნებდიო, მაგრამ ვალი არ დანებებია და აუტეხია სროლა. შემდეგ მოშველებიათ მეორე ბოქაულიც ყაზახის მაზრისა და სამი საათის ბრძოლის შემდეგ შეუნგრევიათ სახლი და ვალი შეუპყრიათ. ვალი ორ ალაგს ყოფილა დაჭრილი —ხელში და გულში; ეს უკანასკნელი ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, ასე რომ ვალის სრულებით აღარ შეეძლო წინააღმდეგობა. ამ სროლაში ბოქაული ალაშიევიც დაჭრილა ხელში, მაგრამ ჭრილობა სუბუქია.

◆ 11 იანვარს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატების კონსული ბათუმში **ჯემს ჩემბერი**.

◆ ახლად გახსნილ ბაკურიანის რკინის გზის შტოზე **ყოველ დღე იღებს** ერთი წყვილი სახალხო მატარებლები. საქონლის მატარებლები ივლიან საჭიროების დაგვარად.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ქვემდებარე დაწესებულებათ და მოხელეთ, რომ რაც იმის გუბერნატორად ყოფნაში ცირკულიარები გამოცემულა, **წარადგინონ** შინაგან საქმეთა სამინისტროში, თნხმად ბ. მინისტრის მოთხოვნისა.

◆ გუშინ, დილის 11 საათზე, „პრაჩეშნის“ ვიწრო ქუჩაში **ცეცხლი გაუჩნდა** სერეჟენკოს სახლს. ცეცხლი სარდაფში გაჩნდა, სადაც შეშა, ბურბუშელა და სხვა ხის მასალა ეწყო. სერეჟენკოს ნახევარი სახლი გაქირავებული აქვს, ხოლო მეორე ნახევარში თითონა სცხოვრობს. ცეცხლის გაჩენის დროს არც მდგმური იყო სახლში და არც თითონ სერეჟენკო; ცეცხლი შენიშნეს მეზობლებმა და იმ წამსვე აცნობეს ცეცხლის მქრობელ რაზმს, რომელიც საჩქაროდ მოვიდა, მაგრამ ვერ მოახერხა, ქუჩების სივიწროვის გამო, ახლო მისულიყო სახლთან. ბევრი წვალების შემდეგ, სახლი მთლად დაანგრიეს და მხოლოდ ამ საშუალებით ჩააქრეს ცეცხლი, რომელიც ის იყო უნდა გადასულიყო მეზობელ ხის შენობაზე. ამ გვარად საბრალო სერეჟენკო ამ ზამთარს ცის ქვეშ დარჩა. სერეჟენკოს ცოლი წინათვე სამშობლოში გასტუმრებული ჰყოლია რუსეთში და იმასთან სცხოვრობს მხოლოდ პატარა ქალი, მათი შვილი, რომელიც თამბაქოს ქარხანაში მუშაობს.

◆ ტფილისის ვაჭარმა სოლომონ ბუშტეინმა განაცხადა პოლიციაში, რომ მან წასულ წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში გარდასცა თავის ნოქარს 160 მან. ღირებული იარაღები და 150 მ. ფულად რაღაც საქმისათვის, მაგრამ ნოქარს, ივანე ორლოვს, შეუჭამია ფულები და დღემდე აღარ დაბრუნებულა თავის პატრონთან. პოლიცია შეუდგა მიმალულ ნოქრის ძებნას.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 8 იანვარს, დილის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. ფ. ზდანოვიჩი. მისი ჩამოსვლისთანავე ჭიათურიდან გაჩნდნენ შავი-ქვის მრეწველნი. იმათ უნდათ შეიტყონ ბერლინის „სინდიკატის“ ამბები საბჭოს თავმჯდომარიდან, რომელმაც ბერლინში ორი თვე დაჰყო და კარგადაც გაეცნო „სინდიკატის“ საქმეთა ვითარებას. ამას წინად ბერლინიდან ქუთაისში მიიღეს 200,000 მანათი ავანსად, მაგრამ გ. ზდანოვიჩის ქუთაისში ჩამოსვლამდის, ვერავინ ვერ შეეხებოდა ამ ფულებს და საშობაოთ ქუთაისში თავმოყრილი მრეწველნი ხელცარიელნი გაბრუნდნენ უკან. რასაკვირველია, თავმჯდომარის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამ საქმისათვისაც, და ახლა, უეჭველია, ამ მიღებული ფულების ამბავიც გამოირკვევა. ამასთანავე უმთავრეს გამგეობის მოწყობილებისა და მოწყობის საქმესაც ახლა შეუდგებიან.

◆ 6-ს იანვარს, ნათლიღებას დილითვე დაიწყო ქუთაისში თოვა და იმ დამესვე გადათეთრა მიწა და სახლის სახურავები. მეორე დილას სიცივე 10^0. იყო და ძალიან საგრძნობელიც იყო. თუ ასე გასტანა ერთი კვირა მაინც სიცივემ, ეგება ღმერთმა ინებოს და გადაგვეთოს ათასგვარი გადამდები სენი, რომელიც აგერ მთელი სამი თვე იქნება მოდებულია ქუთაისში. ეგება ყინვებმა და სიცივეებმა გვიხსნას კისერასა და ხუნაგისაგან, თორემ ქალაქი არაფერს ზრუნავს ამის წინააღმდეგ...

წერილი ბათუმიდან

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის ხელმეორედ არჩევა ქალაქის თავად

იანვრის 11. რაც გუშინ ბათუმის ქალაქის საბჭოში ამბები მოხდა, რა თქმა უნდა, სამახსოვროდ დარჩება ჩვენთვის. ამის დამახსოვრება მეტად საჭიროა ყველასათვის, რომ შემდეგში მაინც ფრთხილად და მეტის გარჩევით იმოქმედოს და ილაპარაკოს ქალაქის საქმეებზე, მეტის გარჩევით ჩააბაროს ხოლმე თავიანთი საქმეები სხვა-და-სხვა პირებს. დიახ, ამ დღემ ძრიელ ნათლად და თვალსაჩინოთ გამოააშკარავა ზოგიერთ ვაჟ-ბატონთა პიროვნება, ვინაობა და მათი მოქმედების ხასიათი.

მე ოგახსენებთ ქალაქის თავის ხელ-ახლად არჩევაზე. პირველი არჩევანი არ იქმნა შეწყნარებული გუბერნატორისაგან, რომელმაც საკმარისად არ სცნო ცენზი თავ. ანდრონიკაშვილისა. აქედან გაგზავნილ დეპუტაციას, რომელსაც უნდა ეთხოვა თავ. ანდრონიკაშვილის დამტკიცება, გუბერნატორმა უთხრა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის თავ. ანდრონიკაშვილის ქალაქის თავობისა, მხოლოდ საჭიროდ დაინახა, უფრო უდავო ცენზი მოეპოვათ მისთვის. გუბერნატორმა ისიც უთხრა დეპუტაციას: რადგან ამისთანა ცენზი უკვე მოგიპოვიათ თავ. ანდრონიკაშვილისათვის და გსურთ იანვრის თხუთმეტამდი გათავდეს*) იმის არჩევანი, მე ახლავე დაგინიშნავთ მეორე არჩევანს და კიდევაც შეიძლებთ თავ. ანდრონიკაშვილის ხელმეორედ არჩევასო.

ბ. გუბერნატორმა მეორე დღეს კიდევაც მოიწერა დეპეშა, დაუყონებლივ მოახდინეთ არჩევანიო. დეპეშა მიიღო გამგეობამ ნაშუადღევის პირველ საათზე. ამ დეპეშაში ნახმარი იყო სიტყვა „немедленно“. ამიტომაც ბ. ი. ივანოვმა გადასწყვიტა არჩევანი იმ დღესვე, საღამოს 8 საათზე მოეხდინა. მეორე საათიდან მან ხმოსნებს დაურიგა უწყებები ამის შესახებ, ასე რომ ზოგიერთმა ხმოსანმა მხოლოდ სხდომის წინ ერთი საათით შეიტყო და მიიღეს ამისთანა უწყება. გაოცებულმა ხმოსნებმა მაინც თავი მოიყარეს საბჭოს დარბაზში და აღელვებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რას ნიშნავდა ასეთი სიჩქარე თავმჯდომარისა, მისი ასეთი მოუთმენლობა, მისი გარდამეტებული აჩქარება ამ საქმეში.

ბ. ივანოვმა გახსნა კრება და მოახსენა გუბერნატორისაგან მიღებული დეპეშა. შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ხმოსანი ს. ტარუმოვი დაეკითხა თავჯდომარეს, რამ აიძულა იგი ამგვარის აჩქარებულის მოქმედებისათვის. ბ. ივანოვმა მიუგო, რომ დეპეშაში „немедленно“ სწერიაო. გაოცებულმა ხმოსანმა აუხსნა, ეს თქმა სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ასეთის სიჩქარით ანთებულიყავით არჩევანის დანიშვნაში, სხდომა ხვალ-ზეგაც შეიძლებოდა დაგენიშნათო.

ხმოსანმა ი. პოდოლეცკიმ შენიშნა, ასეთი საქციელი მით უფრო, გასაოცარიაო, რომ თავმჯდომარე მოფიქრების დროსაც კი არ გვაძლევს ისეთ საქმეში, როგორიც არის ქალაქის თავის არჩევაო. სამი საათის განმავლობაში მზარეულსაც ვერ აირჩევს კაცი, ჩვენ კი ქალაქის თავის ასარჩევად ეს სამი საათიც არ გვეძლევა თავმჯდომარის წყალობითაო.

ხმოსანი ს. ტარუმოვი მაინც არ მოეშვა და სთხოვდა ბ. ივანოვს ეთქვა, რატომ მეორე დღეს არ დანიშნა არჩევანი და როცა პასუხათ მიიღო, რომ ხვალისათვის რაღაც კომისია მაქვს დანიშნულიო, ხმოსანმა თავჯდომარეს ცხარე სიტყვით უსაყვედურა: კომისიის კრება სხვა დროისთვის დაგენიშნათ და სამძიმო საქმეზე—ქალაქის თავის არჩევაზე—უფრო გეზრუნათო; თქვენ კი ისეთ გზას დასდგომიხართ, რომლის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია და უცნაურის საბუთებით მაცადინეობთ თავის მართლებას. არ შეიძლება საბჭოს შევიწროება, რის გამოისობით ყველასან პროტესტს იწვევთ თქვენის ამ გვარის მოქმედებითაო.

ხმოსნები (პალმისა და ვაკიეს გარდა) ერთხმანად მიემხრნენ ამ პროტესტს.

ხმოსანი ჯაყელი შეეკითხა თავჯდომარეს, საიდან შეიტყო გუბერნატორმა თავ. ანდრონიკაშვილის ცენზის უკანონობა, თქვენ აცნობეთ ეს ამბავი, თუ არა ბ. გუბერნატორს? ჩვენს კრებაზე კი, არჩევნების დროს, თქვენ განაცხადეთ ამ ცენზის კანონიერება; კერძოთ აცნობეთ, თუ ოფიციალურად ეს ამბავი გუბერნატორს? ბ. ივანოვის პასუხებიდან საბჭომ შეიტყო, რომ ცენზის უკანონობა მას გარეშე პირების სიტყვებით დაუჯერებია და ეს ამბავი დეპეშით უცნობებია გუბერნატორისათვის. ბ-მა ივანოვმა ისიც სთქვა, რომ გარეშე პირთაგან ნათქვამის სამართლიანობის განხილვაში იგი არ შესულა.

საბჭო მეტის-მეტ გაოცებაში მოვიდა და ბოლოს მოითხოვა სხდომა ღამის 11 საათამდე შევწყვიტოთ, რომ მოვითათბიროთო. პირველში თავჯდომარე დიდ უარზე იდგა. ხმოსნებმა მოითხოვეს, გუბერნატორთან დეპეშა გაგზავნილიყო თავჯდომარის ამ გვარის ძალდატანებულ მოქმედებაზე. შეიქმნა ერთი ყიჟინი. ხმ. პალმმა მოწყალებით გადახედა დანარჩენ ხმოსნებს და მიმართა ბ. ივანოვს ნებას დაჰყოლოდა და შეეწყვიტა სხდომა თერთმეტ საათამდინ. „არა უშავს რაო... შეიძლებაო!..“ სთქვა ბ-ნმა პალმმა. ი. ივანოვმა ახლა ისმინა საერთო თხოვნა და დათანხმდა სხდომის შეწყვეტაზე.

ამ დროს მოდის ბათუმში მატარებელი და ხმ. კ. ჩხეიძეს უნდა ჩამოეტანა თ. ანდრონიკაშვილის არჩევისათვის საჭირო ახალი ცენზი. ყველა მოუთმენლად მოელოდა ამ დროს. შესრულდა ათი საათი. „ახლავე მოიტანენ ქაღალდსაო“—შეესმა ბ. ივანოვს ხალხში ნათქვამი.

—რა ქაღალდზე ლაპარაკობენო?—შეეკითხა იგი ერთ ხმოსანს, რომელმაც არ გაუმხილა და მიუგო—„არ ვიციო“.

დაჰკრა თერთმეტის ნახევარმა და საბჭოს დარბაზში შემოვიდა ხმ. კ. ჩხეიძე, რომელმაც მოიტანა საჭირო ქაღალდები და დამტკიცებული ცენზი. მეტად სახტად დარჩნენ ყველა ისინი, რომელნიც ჰხედავდნენ, რომ თავ. ანდრონიკაშვილის ქალაქის თავად არჩევა აუცილებელი იყო.

კრება ხელ-ახლა გაიხსნა. მილეულის ხმით თავჯდომარემ ითხოვა კანდიდატების დასახელება, დაასახელეს თავ. ანდრონიკაშვილი; ბ-ნ ივანოვს არ უნდოდა კენჭის ჩამოტარება, იმიტომ, რომ კანდიდატს არ გამოუცხადებია ხელ-მეორედ კენჭის ჩამოტარების სურვილიო. ხმ. ხუდადოვმა აუხსნა, რომ ასეთი თანახმობა როგორც პირველი კრებისათვის, ისე მეორესათვისაც დეპეშაში სწერიაო; ბ-ნი ივანოვიც დაარწმუნეს ამაში.

ამის შემდეგ თავ. ანდრონიკაშვილის საწინააღმდეგო აღარა რჩებოდა-რა და კანდიდატს კენჭი ჩამოუტარეს. თქვენ უკვე იცით, რომ თავ. ანდრონიკაშვილი 24 ხმით, წინააღმდეგ ერთისა, ბათუმის საბჭომ აირჩია ქალაქის თავად. ბ-ნ ი. ივანოვს თავისთვის კენჭი არ ჩამოუტარებია.

ჭ.

---

*) იანვრის თხუთმეტს თავ. ი. ანდრონიკაშვილი მიემგზავრება პეტერბურგში; უნდათ მიასწრონ მისი დამტკიცება, რომ პეტერბურგში მან შეიძლოს ასე თუ ისე ცნობები გამოგვარება ქალაქის იმ საქმეებისა, რომელზედაც „ცნ. ფურც.“ დაბეჭდილი იყო.

დაარსდა და რამდენიმე კვირის შემდეგ გაიხსნება ტფილისში ჭორების ბიურო. აქ ყველას ადვილად შეეძლება შეიტყოს, ვის შესახებ, რა ჭორები გავრცელდა. ცნობის მისაღებად ორი კაპეიკია გადასახადი; მსურველს უფლება ექნება ფულის გადახდის მაგივრად სამი ახალი ჭორი შეატყობინოს ბიუროს. ამ დაწესებულებას სათავეში ერთი პატივცემული მანდილოსანი უდგას და ოთხის ქვრივის ქალისაგან შემდგარი კომისია. მომავალს წელს ბიურო განყოფილებას იქონიებს ქუთაისში.

—

ქართულს თეატრში მოსიარულე საზოგადოებას განუზრახავს სთხოვოს ბ. სუნდუკიანცს, თავის ხუთ-მოქმედებიანს კომედიას „კიდევ ერთი მსხვერპლი“ ორი აქტიც ჩაუმატოს, რადგანაც ამ პიესაში მოქმედება გადამეტებულის სისწრაფით ვითარდება და მაყურებელი ვერ ასწრობს თვალ-ყური ადევნოს პსიხოლოგიურ მომენტებს.

—

ერთს პირს, რომელსაც არა ჰსურს თავისი ვინაობა გამოამჟღავნოს, გადაუწყვეტია, ერთი მილიონი საჩუქარი მისცეს იმას, ვინც გაზეთს „ჩერნომორსკი ვესტნიკს“ სიყალბეზე ხელს აიღებინებს და კავკასიის მკვიდრთა შესახებ სიმართლეს ალაპარაკებს.

—

ქუთაისის ყმაწვილ-კაცობას დაუარსებია ერთი ახალი საზოგადოება, რომელსაც ეწოდება „მელექსეთა მფარველი კავშირი“. ამ საზოგადოების დაარსება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რაც ხანი გადის, მით უფრო ნაკლები მოტრფიალეები უჩნდებათ მოლექსეებს, და ამასთან ლექსთა წერის სურვილიც უფრო ნაკლებ ჰმოქმედობს. საზოგადოების მიზანი საერთოდ მოლექსეების მფარველობაა და კერძოდ ლექსთა-წერის სკოლის გახსნა. ამ სკოლაში მასწავლებლები აუხსნიან და შეასწავლიან მოსწავლეებს, რომ ლექსის დასაწერად ყოვლის უწინარეს სიცრუეა საჭირო, ისეთი სიცრუე, რომელიც ადამიანს ამშვენებს, ლექსში პოეტმა თავისი თავი ისეთს იდეალისტად უნდა დახატოს და ისეთის მისწრაფებებით უნდა გაიბეროს გული, რომ თითონაც ვეღარ იცნოს თავისი თავი. ამბობენ, ამ სკოლის დირექტორად ერთი „მოგზაურის“ მგოსანთაგანი ჰსურთ მიიწვიონო.

—

გუშინ „კავკასიის კალენდარი“ გადავშინჯე და აღთქმა დავდე, თელეთის ეკლესიას ორი ღამე უთიო და კისერზე ჯაჭვ-გადაგდებულმა ასჯერ შემოუარო საყდარს გარეშემო, თუ მემრის მაინც შეიგნეს კალენდრის გამომცემელებმა, რომ იმერელი, ქართველი, კახელი, თუში, ფშავი, ხევსური, გურული, მეგრელი და სხვანი, ყველა „გრუზინები“ არიან, და რომ „კვალი“ „ჯეჯილის“ სურათებიანი დამატება კი არა, დამოუკიდებელი სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთია.

—

ტფილისის გაზეთები ერთხმივ ბოდიშს იხდიან მკითხველთა წინაშე, ნუ გაგვიწყრებით, თუ ხშირათ ენას არ გავანძრევთ და ხმას არ ამოვიღებთ ისეთ საგნების შესახებ, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს საზოგადოების ყურადღებაო. გაკვირვებული ვარ და ვერ გამიგია, რატომ უნდა გასჩუმდნენ გაზეთები სწორეთ იქ, სადაც ხმის ამოღებაა საჭირო. ის არა სჯობს, გაზეთი სხვა დროს იყოს ჩუმად და იქ კი, სადაც ეს საჭიროა, ხმა მაღლა გამოსთქვას თავისი აზრი?! ეს რაღაც ახალი მოდის ბრალი უნდა იყოს, რომელიც ტფილისის რედაქციებში გავრცელდა, თორემ რატომ „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ არ ამბობს, მეც ჩუმად ვიქნებიო.

—

ერთს წარჩინებულს ბელლეტრისტს და ერთს გამოჩენილს დრამატურგს შევეკითხე, ცა რომ გაიხნებოდეს, რას ინატრებდით მეთქი. ბელლეტრისტმა მითხრა, მუხლ მოდრეკილი შევევედრებოდი უფალს, ერთის წლით ქალების მოძღვრად დავენიშნე, რომ იმათთვის აღსარება მეთქმევინებინა, თორემ არ იქნა და არ იქნა, მე ქალის გულის ნამდვილი ისტორიის დაწერა ვერ მოვახერხეო. დრამატურგის ვედრებაც ამგვარივე აღმოჩნდა: ხელებს ცისკენ გავიშვერდი, თავს უკან გადავიწევდი და ვთხოვდიო, სთქვა დრამატურგმა, რომ ერთის წლით მთელი ქვეყნის პოლიციის უფროსად გავეხადე. ერთს წელიწადში იმდენ მასალას მოვაგროვებდი დრამებისთვის, რომ მთელ სიცოცხლეში ვერ მომესწრო მათი შემუშავებაო.

მგზავრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ქრონიკა

∝ გაზეთები იტყობინებიან, რომ სამიწადმოქმედო სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ერთგვარი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სადაც ასწავლიან სარძეო მეურნეობას და ყველის გაკეთებას.

∝ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეუდგნენ მათხოვრობის წინააღმდეგ ახალ წესდების შემუშავებას.

∝ „ნოვ. დნ“-ს გაუგია: პროექტი იმის შესახებ, რომ მცირე წლოვან ბავშვებს ალეკრძალოთ სათეატრო და საცირკო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება, საკანონმდებლო სფერებში დაუმტკიცებიათ.

∝ უწმინდესი სინოდის სამეურნეო სამმართველოში განზრახვა აქვთ დააწესონ საურთიერთო დამზღვევი დაწესებულება, სადაც დააზღვევენ ეკკლესიებს, სამრეკლოებს, სამლოცველოებს, საეკკლესიო სახლებს და შენობებს. ამ გვარი დაზღვევა უნდათ სავალდებულოდ გახადონ.

∝ პეტერბურგის გაზეთები სწერენ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს ლუბეს გადაუწყვეტია რუსეთში ჩამობრძანება. ის გამოემგზავრება კრონშტადტისაკენ გემით „მასსენა“. წამოსვლის დრო ჯერ არ არის დანიშნული.

პრესსა

რუსულ გაზეთებს ჯერაც არ დაუსრულებიათ გასულ წლის ანგარიშებისა და საახალწლო წერილების ბეჭდვა. უმეტეს შემთხვევაში ეს წერილები ძალიან გვანან ერთმანერთს, მაგრამ ხანდახან ორგინალურიც გამოერევა. „მოსკოვ. ვედომ“-ის წერილმა, მაგალითად, ბევრის ყურადღება მიიქცია. გრინგმუტის გაზეთს ძალიან ეშინია გასული წლისა; 1901 წელმაო, ამბობს ის, დიდად შეარყია რუსეთის მყუდროება; ლიბერალებმა ყურები იცქვიტეს—ახალი ხანა იწყებაო; ხოლო მათი იმედი რომ სრულიად უსაფუძვლო არ არისო, ამას სწავლა-განათლების საქმის გამო ატეხილი აურ-ზაურიც ამტკიცებსო. ჩვენი სახელმწიფო და საზოგადო მდგომარეობის ესა თუ ის სისტემა დამყარებულია მოზარდ თაობის აღზრდა-განათლების სისტემაზეო და, თუ ეს უკანასკნელი შეირყა, მაშინ მთელს ჩვენს ცხოვრებას საშიშარი რყევა მოელისო. გაზეთი აფრთხილებს მთავრობასაც და საზოგადოებასაც: თავი დავანებოთ სწავლა-განათლების საქმის რადიკალურად შეცვლას, თუ გვინდა, რომ 1901 წელის დაბადებულს იმედებს ჩვენის ლიბერალებისას ფრთები შეუკვეცოთო.

სრულიად სხვა ჰანგზე მღერის მეორე რუსული კონსერვატული გაზეთი „ნოვ. ვრემია“. სუვორინის გაზეთი ამბობს:

> «უკანასკნელის სამის საუკუნის განმავლობაში ჩვენი ისტორია როგორღაც იმეორებს ზოგიერთ ფაქტებს. ყოველ საუკუნის დასაწყისში ჩვენს სახელმწიფოს თავს ესხმოდა გარეშე მტერი; საუკუნის შუა გულში დგებოდა „მესამოცე წლები“, ესე იგი, რეფორმების ხანა. ასე იყო სამ წინანდელ საუკუნეში. ნუ-თუ ეხლაც უნდა მოველოდეთ გარეშე მტერთა შემოსევას?! ნუ-თუ ეხლაც უნდა დაგვატყდეს თავს ომი და გაჭირვება და უამისოდ არ შეგვიძლია პირდაპირ რეფორმების ხანაში ამოვყოთ თავი“?!

დასასრულ სუვორინი ამბობს:

> პირადათ მე არ მსურს მტრის შემოსევა. მე მინდა, რომ მეოცე საუკუნე დაიწყოს რეფორმებით, განათლების აღორძინებით და მრავალის ჩვენის საზოგადოებრივის სენის მოსპობით. გასულმა 1901 წელმა ოდნავ გვანიშნა, რომ ეს შესაძლებელია და ვისურვოთ, რომ 1902 წელმა ეს იმედი გაგვიმტკიცოს».

წერილი თელავიდან

6 იანვარს დაიწყო „კახეთის მევენახეთა საზოგადოების“ წლიური კრება. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ, თ. ს. ვახვახიშვილმა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ. ი. ქობულაშვილი. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ყოვლის უწინარეს ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ რაფ. ერისთავის სახელს, რომელიც საზოგადოების წევრი იყო. შემდეგ კრებას მოეხსენდა წლიური ანგარიში. საზოგადოებას წარსულს წელს მოგება ჰქონია 4188 მან. და 92 კაპ. კრებამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ორივე განყოფილებას, მოსკოვში და ბაქოში, ძოკების მაგივრად ზარალი მოუცია. აღძრულ იქმნა საკითხი მათი მოსპობის შესახებ, მაგრამ გამგეობის თავმჯდომარემ ვახვახიშვილმა განუმარტა კრებას, რომ მცირე ზარალს არ უნდა შეუშინდეს კრება, რადგანაც განყოფილებათა ზარალი ადვილი ასაუნებელია და ამასთანავე თანდათან კახეთის ღვინოს მოსკოვშიაც და ბაქოშიაც ბაზარი უფართოვდება, რასაც საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თანახმად საზოგადოების ერთის წევრის თხოვნისა, გამგეობის თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ მოსკოვში თანდათან უფრო მეტი ღვინო იყიდება, 1900 წელს 7,000 მან. გაყიდულა და 1901 წ. 10.000 მან. კრებამ ერთხმივ უარყო წინადადება განყოფილებათა მოსპობის შესახებ. შემდეგ მოეხსენდა კრებას სარევიზიო კომისიის აზრი ანგარიშის შესახებ. კომისია უმეტესწილად ეთანხმება გამგეობას და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ დესეტინაზე გაწერილის გადასახადების ანგარიშში შეტანილი არ არის 230 მ. გამგეობას ეს შეცდომა, თანახმად სარევიზიო კომისიის შენიშვნისა, უკვე შესწორებული ჰქონდა. ცოტაოდენი კამათის შემდეგ კრებამ ერთ-ხმივ დაამტკიცა ანგარიში. 6 იანვარსვე აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ სარევიზიო კომისიას დაევალოს მომავალში ვრცელი მოხსენება წარუდგინოს ხოლმე კრებას საზოგადოების საქმეების შესახებ. გამგეობის თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ სარევიზიო კომისია დაახლოვებით იცნობს საზოგადოების საქმეებს, ასე რომ მოკლე მოხსენებითაც კრება დაკმაყოფილებული უნდა დარჩესო. კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

7 იანვარს კრებას მოეხსენდა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებაზე რამდენიმე წევრმა მოითხოვა, რომ გამგეობის თავმჯდომარეს და წევრებს ჯამაგირი მოემატოთ, რადგანაც ბევრი შრომა აქვთ და ჯილდო კი მცირეო. გამგეობამ კრებას წარუდგინა პროექტი ღვინის დაფასებისა ახალის წესით, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ყოველ ქვევრიდან თითო ბოთლი სანიმუშო უნდა იქმნას ამოღებული, ამ ბოთლებს გაგზავნიან ტფილისში, სადაც ღვინოს დამფასებელთა კომისია დააფასებს; კომისიას ეცოდინება მხოლოდ რაიონი, საიდანაც ღვინო წამოღებულია, ხოლო ვინაობა ღვინის პატრონისა დამფასებელ კომისიისათვის საიდუმლო იქნება. კრებამ კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით დაადგინა საცდელად ორის წლით შემოღებულ იქმნას ახალი წესი ღვინის დაფასებისა და ამასთანავე დაადგინა, რომ კახეთი გაყოფილ იქმნას 4 რაიონად, როგორც გამგეობა თხოულობდა.

ჯამაგირების მომატებისა და რევიზიის საჭიროებისთვის 1000 მან. გადადების შესახებ ცალკე აზრის წარმოსადგენად არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია 11 კაცისაგან. კრება შემდეგის დღისთვის გადაიდვა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩვენდამი რწმუნებულ მარტყოფის საეკკლესიო-სამრევლო სკოლას თავიანთი წვლილი და მით მოგვცეს ღონისძიება გაგვეხარებინა მოწაფეები, რომელთათვისაც ამ ახალი წლის უქმეებს არ ექნებოდათ არავითარი მნიშვნელობა და ვერაფრით გაიხარებდნენ თავიანთ სიღარიბისა გამო. სია შემომწირველთა: ტფილისის გუბერნატორმა ბ. სვეჩინმა 10 მან., ამავე სოფლის ქსენონის ექიმმა ბ. იაგულოვმა 5 მან., სართიჭალის ბოქაულმა ბ. ნაცვალოვმა 3 მან., მარტყოფის ტყის მცველმა ბ. კასიანენკომ 3 მან., გ. ტიმოფეევმა 5 მან., გ. კიაშჩენკომ 1 მან., გ. ინაევმა 2 მან. და გ. ებიტოვისამ 50 კაპ. სრულიად 29 მან. და 50 კაპ. ამ ფულით სკოლაში გაიმართა „საშობაო ხე“ და ზოგს ღარიბ მოწაფეებს მიეცათ ახალი ტანისამოსი.

მარტყოფის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის
გამგე მღ. **გ. კოზმოვი**
ამავე სკოლის მასწავლებელი **გ. ბერიკვი**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ მცირე ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

განსვენებულის თავ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ შარშან, ბათუმშიაც დაიწყეს ზოგიერთებმა ფულის შეგროვება მის სახელობაზე ფონდის დასაარსებლად, მასთან ფულის შემგროვებნი ამბობდნენ: ეს თქვენი შემოწირულების რაოდენობა და სახელიდაგვარი რომელსამე ქართულ გაზეთში იქნება გამოცხადებულიო“ აგერ ერთი წელი სრულდება თითქმის და დღესაც არ ვიცით, რა იქნა ის ფული? თუმცა კეთილ საქმის გამოჟღავნება დაფითა და საყვირით არ ვარგა, მაგრამ მაინც სასურველია შემომწირველთ იცოდნენ ნამდვილად, თუ რა იქნა მათ მიერ გადებული წვლილი?!.

ერთი შემწირველთაგანი.

ქ. ბათუმი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 იანვარი

პეტერბურგი. 11 იანვარს ხელმწიფე-იმპერატორმა, ხელმწიფე-დედოფლებმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ მეუღლით და ასულითურთ დაათვალიერეს რუსეთის მხატვართა სურათების გამოფენა.

11 იანვარს დაბრუნდნენ პეტერბურგში მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული რომანოვსკისა ჰერცოგინა ლეიხტენბერგისა და დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ შეპერსი დასაჯეს მას შემდეგ, როდესაც გამტყუნებულ იქმნა მძიმე დანაშაულობაში. კრანბორნი ამბობს, ინგლისმა აგრძნობინა გერმანიას, რომ ის სრულებით ხელს არ შეუშლის ბაღდადის გზის პროექტს, რომელშიაც ინგლისის კაპიტალისტებსა ჰსურთ დიდი მონაწილეობის მიღება; შესახებ იმ ადგილისა, სადაც თავდება ბაღდადის გზა—სპარსეთის ყურესთან, ინგლისსა და გერმანიას შუა ზოგიერთი მოლაპარაკება მოხდა.

ვაშინგტონი. სენატში განაცხადეს, რომ შეპერსის დასჯა ნიშნავს ჟენევის კონვენციის დარღვევას ინგლისელთა მხრივო.

კოპენჰაგენი. მთავრობამ მიანდო დანიის ელჩს ვაშინგტონში, რომ ხელი მოაწეროს ვესტინდიის კუნძულების გასყიდვის ხელ-შეკრულობას.

ორენბურგი. თავად-აზნაურთა წინამძღოლად ამოირჩიეს გვარდიის პოლკოვნიკი ტიმაშევი.

სევასტოპოლი. აღმოჩნდა, რომ გარდა 71 ათასის მან., რომელიც საურთიერთო კრედიტის ხაზინადარს გაუფლანგავს, სავარაუდო თანხიდან წადებულია 18-ათასი მანეთი.

ვარშავა. ექიმებს დაავალეს, რომ ზოგიერთ კომერციულ სასწავლებლებში ყოველ დღე სამსამი საათი დაჰყონ ხოლმე.

ნოვო-ალექსანდრიაში იმართება სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის ერთად საცხოვრებელი სახლი.

მოსკოვი. სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება მოხდა.

12 იანვარი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის სალაშქრო შტაბი გაუქმდა და საქმეები გარდაეცა ფინლანდიის ოლქის სამხედრო შტაბს.

10 იანვარს გარდაიცვალა სამთო ინსტიტუტის პროფესორი ივანე ვასილის ძე მუშკეტოვი.

მოსკოვი. გარდაიცვალა პროფესორი კოჟევნიკოვი.

კიევი. ჟილიანსკის ქუჩაზე გაჩნდა ცეცხლი. ორი მოსამსახურე დედაკაცი დაიხრჩო კვამლისაგან.

ბერლინი. ოფიციალურად გამომჟღავნდა, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის საიდუმლო ხელშეკრულებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მცირე აზიასთან. აგრეთვე არ არსებობს საიდუმლო ხელშეკრულება სპარსეთის ყურეს შესახებ.

ათინა. როდესაც მეფე ბაღში დასეირნობდა, მას ვიღაც კაცი მივარდა და დანა მოუღერა. ბაღის ზედამხედველი, რომელმაც მოარიდა დანა, დაჭრილია. ბოროტ-მოქმედი შეიპყრეს; ჭკუაშეშლილსა ჰგავს.

კონსტანტინეპოლი. სამოსის მმართველის ნდობა შეირყა იმის გამო, რომ ცუდად განაგებს კუნძულის საქმეებს.

კალუგა. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩეულ იქმნა ნიკოლოზ სიმონის ძე იანოვსკი.

ბორისოგლებსკი. ბაზრობა გათავდა. სუსტი ვაჭრობა იყო.

ხარკოვი. ქალაქის თავად ამოირჩიეს პროფესორი პოგორელკო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ქალაქის საბჭომ საჭიროდ დაინახა კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა მხოლოდ ორი საათით იყოს.

ლოძი. აქ ჩამოვიდნენ საფრანგეთის მეფაბრიკეთა აგენტები, რომელნიც ახლა სასტიკ კონკურენციას უწევენ გერმანელ მეფაბრიკეებს, რადგანაც პოლონელთა შორის აგიტაცია არის გერმანელთა წინააღმდეგ.

ათინა. მეფის მოკვლის განძრახვის ამბავი საფუძველს მოკლებულია.

პეკინი. ქვრივი დედოფალი და მისი მრჩევლები იხილავენ ამ ჟამად კითხვას იმის შესახებ, რომ მოიწვიონ უცხოელი მოხელენი მართვა-გამგეობის რეფორმის მოსახდენად.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. მთავრობას დაეკითხნენ: შეატყობინებს თუ არა უცხოელ სახელმწიფოებს ტრანსვაალის ინგლისთან შეერთების ამბავს. კრამბორნი უპასუხებს, რომ დიდ ბრიტანიას ჩვეულებად არა აქვს შეატყობინოს ხოლმე სხვა სახელმწიფოებს ახალ ქვეყნების შემოერთება, თუ ამას განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს. ჰამილტონი აცხადებს, რომ ავღანის ემირმა დაარწმუნა ინდოეთის მეფის მოადგილე, რომ ის თავის მამის პოლიტიკას დაადგება და მის მეგობართ მეგობრობას გაუწევს. „მე გ-ვიგეო, დაუმატა ემირმა, რომ ბრიტანიის მთავრობაც ჩემს მეგობრობას აპირებს და ჰსურს ორს სახელმწიფოს შუა მეგობრული კავშირიო“.

პეტერბურგის ბირჟა 11 იანვარს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	—
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე	46 30
პარიზზე	—
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	99⅞ გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% I-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	469 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგ. ბილ. 1866 წ.	368 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	63 მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	81⅝ გაყიდ.
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცელ	88½ გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 5% [illegible]	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ხლ. ჯაბადარი**.

განცხადებანი

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
გერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი**.
შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

ცინკოგრაფია
ფიზნერ ზამოშ, ქართველთა ამხანაგობისა
ვერის ლიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

წარსული წლების ჟურნალი
„მოამბე“
გაიყიდება შემდეგ ფასებათ: **1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მანეთად; 1896, 1897, 1898 და 1899 წ.წ.—ხუთ-ხუთ მანეთად; ხოლო 1900 წ. «მოამბე» 1901 წ. ხელის მომწერთათვის ღირებს ხუთი მანეთი.**

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ **თითო** წლის ჟურნ. «მოამბის» **ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ.**
ჟურნ. «მოამბის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала «Моамбе».

Дозволено цензурою Тифлисъ, 12 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.